საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1602 2019 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იტონგ კავკასუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2046 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იტონგ კავკასუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2046 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, არა უგვიანეს 2020 წლის 12 ივნისისა №01.19.24.007.039 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ღია/დახურული საწყობის ან/და საგამოფენო სივრცის/დარბაზის მოწყობა, ხოლო №01.19.15.003.089 მიწის

(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე სამშენებლო მასალის მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით, არანაკლებ 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;“.

2. ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „იტონგ კავკასუსმა“ (ს/ნ: №405046141) და შპს „იტონგ კავკასუსმა“ (ს/ნ: №405154130) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „იტონგ კავკასუსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2046 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (მათ შორის, ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, წარმოადგინონ ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის ახალი/შეცვლილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადას.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**